ჯიპიაი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

№ 6834
თარიღი 30.06.2017

ძვირფასო ჯემალ,

გაცნობებთ, რომ სპეციალურად ჯიპიაი ჰოლდინგის კორპორატიული მომხმარებლებისთვის შეიქმნა დაზღვევის მომსახურების პორტალი corporate.gpih.ge, რომლის მეშვეობით მნიშვნელოვნად გამარტივდა ჩვენი კორპორატიული კლიენტების დაზღვევის პროცედურები, მათ შორის ჯანმრთელობისა, ავტომობილებისა და ქონების დაზღვევის განაცხადებში ცვლილების შეტანის პროცედურა.
კორპორტიული ვებ პორტალის მეშვეობით თქვენ შეგიძლიათ:

- იხილოთ **სადაზღვევო ხელშეკრულებების** დეტალები: სადაზღვევო პრემია, დავალიანება, გადახდის გრაფიკი და **გადახდების ისტორია**
- მიიღოთ დეტალური ინფორმაცია თითოეული თანამშრომლის ჯანმრთელობის სადაზღვევო პოლისზე: დაზღვევით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურებები, **დაფარვები და ლიმიტები**
- იხილოთ ქონების, ავტო და სხვა სადაზღვევო პოლისების დეტალები, სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკი და გადახდების ისტორია
- დაზღვეული თანამშრომლების, ავტომანქანებისა და ქონების ჩამონათვალში ცვლილების შეტანა, დამატება და გაუქმება
- ინვოისების ნახვა, ბეჭდვა და **გადახდა** ბიზნეს საბანკო ბარათით დაზღვევის პორტალიდან გაუსვლელად
- **ანაზღაურების მოთხოვნა** დაზღვეული ქონებისა და ავტომანქანის დაზიანებისას
- გაიმარტივოთ ურთიერთობა თქვენს სერვის მენეჯერთან და უშუალოდ პორტალზე დააფიქსიროთ თხოვნები ან პრეტენზიები

დაზღვევის ონლაინ პორტალის მეშვეობით თქვენ მართავთ თქვენს დაზღვევას დისტანციურად. პორტალის მეშვეობით განხორციელებული ყველა მოთხოვნა იქნება განხილული როგორც კომპანიის ოფიციალური მომართვა და შესაბამისი ქმედებები (მაგალითად: დაზღვეულთა სიაში ცვლილება, პოლისის გაუქმება) განხორციელდება კორპორატიული პორტალიდან გამოგზავნილი მოთხოვნის საფუძველზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის ბეჭდური/დასკანერებული ვერსიის გამოგზავნის გარეშე.
პორტალის მეშვეობით განაცხადების მიღების პროცესი დაიწყო მიმდინარე წლის 1 მაისიდან. პორტალმა წარმატებით გაიარა სატესტო პერიოდი და გათვალისწინებულ იქნა მომხმარებლებისგან მიღებული რეკომენდაციები.
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ დაზღვეულ პირთა და ობიექტების სიაში ცვლილების შეტანა **15 ივლისიდან მთლიანად მოხდება კორპორატიული პორტალის მეშვეობით** და სხვა გზით აღნიშნული ოპერაციების განხორციელება აღარ იქნება შესაძლებელი.

კორპორატიული პორტალის მოხმარების ვიდეო ინსტრუქცია შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებ გვერდზე **corporate.gpih.ge**

გმადლობთ, რომ სარგებლობთ ჩვენი მომსახურებით.

ჯიპიაი ჰოლდინგის კლიენტების მომსახურების დირექტორი
დიმიტრი ძირტკბილაშვილი

თბილისი 0171, კოსტავას ქ. #67
www.gpih.ge
Tel. +(995 32) 2 505 111
Fax. +(995 32) 2 365 222